

**ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის
ბანკი (EBRD) თიბისი ბანკს 35 მილიონი დოლარით
აწინასწარ**

პრეს-რელიზი

29 ივლისს, 18:00-ზე თიბისი ბანკის სათაო ოფისში თიბისი ბანკი და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD) ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას გრძელვადიანი დაფინანსების თაობაზე. ამ ხელშეკრულების ფარგლებში თიბისი ბანკი მიიღებს 35 მილიონ აშშ დოლარს კორპორატიული კლიენტების დაკრედიტებისათვის.

ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ EBRD-ის რეგიონალური დირექტორი კავკასიასა და ბელორუსიაში, მაიკლ დევი და თიბისი ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი პაატა ლაძაძე.

სესხის ვადა 5 წელია. მიღებული ფინანსური რესურსი თიბისი ბანკს შესაძლებლობას მისცევს, კიდევ უფრო გააფართოვოს კორპორატიული სექტორის დაფინანსება და განიმტკიცოს თავისი ლიდერული პოზიციები აღნიშნულ სექტორში.

თიბისი ბანკი EBRD-თან 1998 წლიდან თანამშრომლობს. ამ წლების მანძილზე ევრობანკმა თიბისი ბანკს რამდენიმე საკრედიტო ხაზი გამოუყო.

2006 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ინვესტიცია განახორციელა თიბისი ბანკის შვილობილ კომპანიაში – თიბისი ლიზინგშიც. ეს იყო ევრობანკის პირველი ინვესტიცია საქართველოს საფინანსო სექტორში.

გასული წლის ნოემბერში კი თიბისი ბანკმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (EBRD) 49 მილიონი აშშ დოლარი მიიღო. აქედან 19 მილიონი აშშ დოლარი წარმოადგენს სინდიცირებულ სესხს; 20 მილიონი აშშ დოლარი განკუთვნილია ვაჭრობის სფეროს დაფინანსებისთვის, ხოლო 10 მილიონი აშშ დოლარი – ენერგოეფექტურობის პროექტების დაფინანსებისთვის.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.